„ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის/ბიბლიოთეკის დასახელება	**კონკურსანტის სახელი, გვარი, პოზიცია**
შინდისის 17 გმირის სახელობის ახალგაზრდული ბიბლიოთეკა	ნინო ლომიძე

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
რატომ გსურთ ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში/ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას/ბიბლიოთეკას და განათლების პროცესს?	შინდისის 17 გმირის სახელობის ბიბლიოთეკა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კერას, რომელიც რამდენიმე მიმდებარე სოფლის(ფხვენისი,ნიქოზი,ვარიანი,ახალდაბა) მოსწავლეებს აერთიანებს და არაფორმალური განათლების სივრცეს სთავაზობს მათ. პროექტ-“ფინედუს ტრენერი” ს ფარგლებში რამდენჯერმე ვეწვიე აღნიშნულ სივრცეს და ჩავატარე ტრენინგები მეწარმეობაზე, ფინანსურ სისტემასა და ბიუჯეტირებაზე. თუმცა, მდგრადი შედეგისა და უწყვეტი განათლებისთვის აუცილებელია მუდმივი, სანდო და ხარისხიანი სასწავლო რესურსების არსებობა. აუცილებლად აღსანიშნავია თავად მონაწილე ახალგაზრდების უდიდესი მოტივაცია და ღიაობა არაფორმალური განათლების მიმართ. წინა შეხვედრებმა აჩვენა, რომ მათ აქვთ უჩვეულო ენთუზიაზმი, ინტერესი და სწავლის შინაგანი სურვილი — ისინი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ თეორიით, არამედ აქტიურად ეძებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გზებს. მათი მხრიდან არსებული ეს მაღალი მიმღებლობა და ახალი გამოწვევებისადმი მზაობა მაძლევს იმის მყარ საფუძველს, რომ „ფინედუს“ კუთხე მათთვის უმნიშვნელოვანეს და მუდმივად მოთხოვნად სივრცედ იქცევა. ბიბლიოთეკა არ არის ჩაკეტილი სივრცე; იგი მუდმივად იზიდავს და მასპინძლობს ახალ-ახალ თაობებს, ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის და მზად არის ცოდნის გასაზიარებლად. დღევანდელი მოსწავლეების მიერ დაწყებული საგანმანათლებლო ტრადიცია და „ფინედუს“ მდიდარი რესურსები საფუძველს ჩაუყრის უწყვეტ ჯაჭვს, სადაც მომავალი თაობებიც შეძლებენ ფინედუს რესურსებით სარგებლობას. ეს უზრუნველყოფს, რომ ფინანსური განათლების პროცესი სოფლად არასოდეს გაჩერდეს და ყოველწლიურად უფრო მეტი ახალგაზრდა აღიჭურვოს ცხოვრებისეულად საჭირო ციფრული და ეკონომიკური უნარებით.

	ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტი კი ხელს შეუწყობს თაობებს შორის დიალოგს. ახალგაზრდები, სწორედ „ფინედუს“ წიგნებიდან მიღებულ ცოდნას გარდაქმნიან მარტივ გზამკვლევებად, რათა შემდგომ სოფლის უფროს თაობას დაეხმარონ ციფრული ფინანსების ათვისებაში.

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დაიწყებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2026 წლის 20 დეკემბრამდე.** • შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, ციფრული პროექტები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია, საჯარო შეხვედრები ბიბლიოთეკის სივრცეში, სოციალურ ქსელებში კამპანიები და სხვ. • შეგიძლიათ აღწეროთ გრძელვადიანი პროექტი, რომლის პირველ აქტივობასაც 20.12.2026-მდე ჩაატარებთ
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	გორის რ-ნი შინდისის და მიმდებარე სოფლების ახალგაზრდები და ამ სოფლებში მცხოვრები ზრდასრული,ხანდაზმული მოსახლეობა.
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	შინდისის 17 გმირის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა. 1-4 კვირა- „ციფრული გიდების“ თეორიული გადამზადება. 5-6 კვირა- შემოქმედებითი პროცესი— მოსწავლეების მიერ მარტივი, ილუსტრირებული ვიდეო გზამკვლევებისა და ბროშურების შექმნა/ბეჭდვა. 7 კვირა- საინფორმაციო კამპანია — ბროშურების გავრცელება სოფელში და თემის წევრების მოწვევა ბიბლიოთეკაში. 8 კვირა- უფროსი თაობის მოსახლეობისთვის საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება და „ციფრული დახმარების დღეების“ დანერგვა ბიბლიოთეკაში.

	პროექტის შეჯამება.
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	ინდივიდუალურად, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის დახმარებით,იგი ინფორმირებული იქნება თითოეულ ჩვენს აქტივობაზე.
პროექტის/აქტივობის აღწერა **(რეკომენდირებულია 500-მდე სიტყვა)** *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ უკავშირდება იგი ციფრულ განათლებასა ან/და კიბერუსაფრთხოებას, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი გრძელვადიანი თუ ერთჯერადი)*	**პროექტის აღწერა: „ციფრული ფინანსური გიდები — თაობათა ხიდი შინდისში“** **იდეის არსი და აქტუალობა:** პროექტის იდეა ეფუძნება თანატოლთა და თაობათა შორის სწავლების მეთოდოლოგიას. შინდისისა და მიმდებარე სოფლების მოსწავლეები, რომელთაც უკვე აქვთ საბაზისო ცოდნა ფინანსურ სისტემებზე და ბიუჯეტირებაზე, ბიბლიოთეკაში შექმნილი „ფინედუს“ კუთხის ბაზაზე გაივლიან სიღრმისეულ მომზადებას ციფრულ ფინანსებსა და კიბერუსაფრთხოებაში. მიღებულ ცოდნას ისინი თავადვე „გარდაქმნიან“ მარტივ, ილუსტრირებულ გზამკვლევებად (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალგაზრდებს აქვთ პრაქტიკა გადამუშავებული ქაღალდით საინფორმაციო ბარათების დამზადების) და იქცევიან „ციფრულ გიდებად“, რომლებიც სოფლის უფროს თაობას (მშობლებს, ბებია-ბაბუებს) პრაქტიკულად დაეხმარებიან თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში. **კავშირი ციფრულ განათლებასთან, კიბერუსაფრთხოებასთან და ფინანსებთან** პროექტი პირდაპირ აკავშირებს ფინანსურ წიგნიერებას ციფრულ უნარებთან. მოსწავლეები სწავლობენ, თუ როგორ მუშაობს ციფრული ეკონომიკა (მობაილბანკი, ელ-საფულეები, QR გადახდები, ონლაინ კომუნალურები საკომისიოს გარეშე). კიბერუსაფრთხოების ნაწილში აქცენტი კეთდება პირადი მონაცემების დაცვაზე, ფიშინგის ამოცნობაზე, თაღლითური SMS/სატელეფონო შეტყობინებების გაფილტვრასა და უსაფრთხო პაროლების კულტურაზე. **სტრუქტურა, თემები და შეხვედრების თანმიმდევრობა** : პროექტი გრძელდება (8 კვირა) და მოიცავს ორ ძირითად ფაზას: 1. **I თვე (თეორია) :** შეხვედრების ჩტარება ბიბლიოთეკაში. ○ თემები: ციფრული საბანკო პროდუქტები, ონლაინ ბიუჯეტირება, კიბერ-ჰიგიენა და ინტერნეტ-თაღლითობისგან თავდაცვა.

	○ შემოქმედებითი ნაწილი: საინფორმაციო ბროშურების და პოსტერების შექმნა. 2. **II თვე (კამპანია და პრაქტიკა):** კვირაში 2-3 აქტივობა. ○ სოფლის საინფორმაციო კამპანია: ბროშურების გავრცელება თემში. ○ ვიდეო გზამკვლევის ჩაწერა ახალგაზრდების მიერ ციფრულ ფინანსურ საკითხებზე. ○ საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება ახალგაზრდების მიერ სოფლის მოსახლეობასთან. ○ „ციფრული დახმარების დღეები“: ბიბლიოთეკაში გამოცხადდება დღეები სადაც მოსწავლეები ინდივიდუალურ, პრაქტიკულ კონსულტაციებს გაუწევენ სოფლის მაცხოვრებლებს. **გამოყენებული მეთოდები:** სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ინტერაქტიული და არაფორმალური განათლების მეთოდები: როლური თამაშები,სიმულაციები,ქეისების ანალიზი რეალური თაღლითური სქემების გარჩევა, გუნდური მუშაობა, კვლევა „ფინედუს“ ლიტერატურაზე დაყრდნობით და დიზაინ-აზროვნება (გზამკვლევების შექმნისას). **მონაწილეთა რაოდენობა და გრძელვადიანობა:** პროექტის ძირითად ბირთვს შეადგენს 10-15 ახალგაზრდა (შინდისიდან და მიმდებარე სოფლებიდან), რომლებიც გახდებიან ციფრული გიდები. არაპირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობა (უფროსი თაობა, თემის წევრები) 100 -მდე ადამიანს მიაღწევს,რადგან რამდენიმე სოფელში გავრცელდება ინფორმაცია. პროექტი არ არის ერთჯერადი, მას აქვს **გრძელვადიანი და უწყვეტი ხასიათი**. შინდისის ბიბლიოთეკა მუდმივად ღიაა ახალი თაობებისთვის. „ფინედუს“ კუთხე დარჩება მუდმივმოქმედ საგანმანათლებლო პლატფორმად, ხოლო პირველი ნაკადის მიერ დანერგილი პრაქტიკა და მომზადებული ვიდეო რესურსები საფუძველს ჩაუყრის ტრადიციას, რომელსაც ბიბლიოთეკა მომავალ წლებშიც დამოუკიდებლად გააგრძელებს.
პროექტის/აქტივობის მოსალოდნელი შედეგი *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	• პროექტის ფარგლებში მინიმუმ 10 ახალგაზრდა სიღრმისეულად შეისწავლის ციფრულ ფინანსებსა და კიბერუსაფრთხოებას და მიიღებს „ციფრული გიდის“ სტატუსს. (გაიზომება დასწრების ფურცლებით). • შექმნილი საგანმანათლებლო მასალა: მოსწავლეების მიერ შეიქმნება და დაიბეჭდება რამდენიმე სახეობის ილუსტრირებული გზამკვლევი (ბროშურა/პოსტერი) ქიუარკოდით, რომელიც ვიდეო ინსტრუქციას გაუხსნის უფროსი თაობისთვის ყველაზე კრიტიკულ თემებზე (კომუნალურების გადახდა, პენსიის კონტროლი, ბარათის უსაფრთხოება, ფიშინგი). • ინფორმირებული თემი: საინფორმაციო კამპანიისა და ბიბლიოთეკაში გამართული „ციფრული დახმარების დღეების“ განმავლობაში, მინიმუმ 100 ადგილობრივი მაცხოვრებელი (მშობლები,

	ხანდაზმულები) მიიღებს პრაქტიკულ კონსულტაციას და დაეუფლება ციფრულ ხელსაწყოებს. (გაიზომება რეგისტრაციის ჟურნალით). • ფინანსური დამოუკიდებლობა და თავდაცვა: სოფლად მცხოვრები უფროსი თაობა დაძლევს ტექნოლოგიურ ბარიერს, ისწავლის დროისა და საკომისიო თანხების დაზოგვას. გაიზრდება მათი მდგრადობა კიბერ-თაღლითობის მიმართ. • სამოქალაქო პასუხისმგებლობა ახალგაზრდებში: მოსწავლეები განავითარებენ ლიდერულ, საპრეზენტაციო და ზრუნვაზე დაფუძნებულ უნარებს. ისინი დაინახავენ საკუთარი ცოდნის რეალურ ძალას თემის სასიკეთოდ. • ბიბლიოთეკის სტატუსის ამაღლება: შინდისის ბიბლიოთეკა დაამტკიცებს, რომ არის თანამედროვე, დინამიკური სივრცე, რომელსაც შეუძლია უპასუხოს ციფრული ეპოქის გამოწვევებს და გააერთიანოს სხვადასხვა თაობა. • „წარმატების დღიური“ ბიბლიოთეკაში: ღია დღეების მიმდინარეობისას ბავშვები სპეციალურ დაფაზე ან ჟურნალში აღრიცხავენ კონკრეტულ „ქეისებს“ (მაგ: *„დღეს მარიამ გეგოს ვასწავლეთ მობაილბანკით დენის ფულის გადახდა“*). • უკუკავშირის ანკეტა თემისთვის: „ციფრული დახმარების დღეების“ მონაწილე უფროსები დატოვებენ მოკლე, ანონიმურ უკუკავშირს იმის შესახებ, თუ რამდენად მარტივი და სასარგებლო იყო მათთვის ახალგაზრდების მიერ მიწოდებული ინფორმაცია. • ფოტო/ვიდეო დოკუმენტირება: ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის ფუნქციონირების, სამუშაო პროცესისა და სოფელში ბროშურების დარიგების ამსახველი მასალა, რომელიც ატვირთება სოციალურ ქსელში პროექტის გამჭვირვალობისა და პოპულარიზაციისთვის. • ვიდეო გამკვლევი, რომელიც დაიდება ბიბლიოთეკის სოციალურ გვერდზე, მოსახლეობისთვის აქტუალურ ფინანსურ საკითხზე.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/გრძელვადიანი პროექტის შემთხვევაში - დაწყებას	2026 წლის ივლის-აგვისტო.